



## თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№17-ს

თბილისი

§01

10 ივნისი, 2020 წელი

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ  
ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 05 ივნისის რეკომენდაციის გათვალისწინებით

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლეებმა უზრუნველყონ:

ა) საპროცესო კანონდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, უპირატესობა მიენიჭოს საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვას, ასევე, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობას დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

ბ) სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა შეზღუდვა, მათ შორის, მასმედიის წარმომადგენელთა რაოდენობის, 2-მეტრიანი დისტანციის გათვალისწინებით და აღნიშნულის მიზნით მოხდეს, დამსწრე პირთა განთავსება სხდომათა დარბაზში, სკამებზე არსებულ შესაბამისი პირობითი ნიშნების (სტიკერების/ნახაზების) ადგილას. 2-მეტრიანი დისტანციის დათქმა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გავრცელდეს შესაბამისი სხდომის დარბაზის ტევადობის გათვალისწინებით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსახურმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს:

ა) მოქალაქისათვის ტემპერატურის შემოწმება სასამართლოს შენობაში შესვლისას და სადეზინფექციო საშუალებებით ხელების დამუშავება, სასამართლოს შენობაში მოქალაქეთა ნაკადის მართვა და მოქალაქეთა (მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა) არამიზნობრივი გადაადგილების შეზღუდვა;

- ბ) სასამართლოს ვიზიტორების (მოქალაქეების) ინფორმირება პირბადის სავალდებულო ტარებასთან დაკავშირებით, რომლის გარეშეც ისინი არ დაიშვებიან სასამართლოს შენობაში, მათ შორის სხდომის დარბაზში;
- გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლეთა ტემპერატურის შემოწმება სამუშაოს დაწყების წინ.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრმა და პრეს სამსახურმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყონ:
- ა) მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში არსებულ სამუშაო მაგიდების მოწყობა გამჭვირვალე დამცავი ბარიერებით და თანამშრომლების სახის ფარით, ხელთათმანითა და შესაბამისი ნიღბით;
- ბ) დისტანციის დაცვის მიზნით პირობითი ნიშნების განთავსება (იატაკზე შესაბამისი სტიკერების ან ნახაზების სახით);
- გ) მოქალაქეთა ინფორმირება სასამართლოში არსებული დისტანციური სერვისების თაობაზე;
- დ) ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისათვის, რომ სასამართლოსათვის მიმართვისას ისარგებლონ დისტანციური სერვისებით, მათ შორის სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისით ([www.ecourt.ge](http://www.ecourt.ge)) და საქართველოს ფოსტით;
- ე) სარჩელებისა და სხვა დოკუმენტაციის მიღება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში (მათ შორის, თბილისი, ბულაჩაურის ქ. №7ა-ს მოქალაქეთა მისაღებში) განთავსებული სპეციალური ყუთის მეშვეობით;
- ვ) სასამართლოს ვიზიტორებისათვის (მოქალაქეებისათვის) ინფორმაციის მიწოდება, სასამართლოში ვიზიტსა და დასწრებასთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ, რათა მათ თავი შეიკავონ სასამართლოში არამიზნობრივი გამოცხადებისაგან, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც მოქალაქე სასამართლოში უნდა გამოცხადდეს თანხმლები პირების გარეშე, ზუსტად მისთვის განსაზღვრულ დროს.

#### 4. თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში:

- ა) თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- ბ) შენობის შესასვლელებთან განთავსდეს დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- გ) სამუშაო ადგილებზე განთავსდეს ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები, ასევე ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარი.

#### 5. თბილისის საქალაქო სასამართლოში დასაქმებულები, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნენ

მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენებით, სასამართლოს მენეჯერის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად. დისტანციური შრომის რეჟიმი არ შეეხება იმ დასაქმებულებს, რომელთა დისტანციური შრომის რეჟიმი შეაფერხებს სასამართლოს საქმიანობას და ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციური შრომის რეჟიმში მყოფი დასაქმებული ვალდებულია მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სამსახურში.

6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს შეუნარჩუნდეთ შრომის ანაზღაურება.
7. საქმეთა განაწილების მიზნებისთვის, მოსამართლეთა თვითიზოლაციაში ყოფნა ჩაითვალოს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-4 მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად.
8. შეიზღუდოს სასამართლოში დაგეგმილი საჯარო ღონისძიებები, შეხვედრები, სასწავლო ვიზიტები, ასევე სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.
9. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს.
10. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2020 წლის 16 მარტის, №08-ს გ01 ბრძანება.
11. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს მის გაუქმებამდე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

